

ԵՍԵՆ ԿԻՇԿԱԿԱ

ԵՍԵՆԿՆԵՐՆԵՐ
ԵՆԴՈՒՆՈՒՄ

ԵՍԵՆԿԱ

2021

ლადო ქვიციანი

საყვარულის
სიმღერები

თბილისი
2025

ეკატერინე ჭეიშვილი
რედაქტორი

ბეჭდვა: წიგნის ფაბრიკა
წინამძღვრიშვილის 24

ლადო ჭეიშვილი. ლექსები. 2025 ©
საავტორო უფლებები დაცულია ©
ISBN 978-9941-8-7515-1

ბიოგრაფია

ლადო ივანეს ძე ჭეიშვილი დაიბადა 1938 წლის 19 ნოემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გაგურში, (აკეთის თემი) 1960 წელს დაამთავრა აკეთის საშუალო სკოლა და 1964 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1962 წლიდან 1972 წლამდე ლადო ჭეიშვილი მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის კულტურის განყოფილებაში, აკეთის მაცხოვრის ეკლესიის მცველად. 1973 წლიდან კი მუშაობას აგრძელებს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე სადაც კურირებდა აჭარა-გურიის რეგიონს და მისი წარმატებული ექსპედიციების შედეგია აჭარული საცხოვრებელი სახლისა და ჯამეს გადამოტანა, აგება და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით აღჭურვა, აჭარის საექსპოზიციო ნაწილში. ასევე გურული კარ-მიდამოს მოწყობა და სამეთუნეო ქურის დადგმა. 1982 წელს იგი ლანჩხუთის რაიონს უბრუნდება და მოღვაწეობას განაგრძობს საგანმანათლებლო სფეროში, ინიშნება აკეთის საკონსულტაციო პუნქტის გამგედ. 1984 წლიდან ლანჩხუთის რაიონულ დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მეთოდისტად, ხოლო 1985 წლის ოქტომბრიდან ინიშნება აკეთის საშუალო სკოლის დირექტორად. 1986 წლიდან მუშაობს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. 1987 წლიდან 1997 წლამდე მუშაობდა თბილისის სასკოლო ინვენტარების ფაბრიკაში ექსპერიმენტალური საამქროს ხელმძღვანელად.

ლადო ჭეიშვილმა ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან დაიწყო ლექსების წერა და სიცოცხლის ბოლომდე კალამი არ დაუდია. მისი შემოქმედება იბეჭდებოდა ლანჩხუთის რაიონულ გაზეთებში, ასევე „ლიტერატურულ საქართვე-

ლოში,“ ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“. მისი პოეზია უსაზღვრო სითბოთი და სიყვარულითაა გაჟღენთილი და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ლადო ჭეიშვილი გარდაიცვალა 2011 წლის 30 ნოემბერს, დაკრძალულია მის მშობლიურ სოფელ გაგურში.

სიმშაი

ძალად ძაღში სახლი ჭირა,
სახლი მამა-ქათაი,
ვირსუ მივსახს ცოლად მყავდა,
მწვავდა სიხვიძლ აღმდუხი.
მეც სახლს რაღ მყახო იყო,
მყახო სივი ანუხა,
მის ლოკლოში იძინებდა
ჩემი შვილი ჭეუხა.
სანაძიხორ ევლოდი,
თავზე ჭამლაც მწვავლო,
ო. ხამცენჯეხი კვლავ ძაღში,
"ლოლო" და "მყახლო".
ახლივენი მყოლომენ,
ვაუკავსუხი ფხინია,
მე მამებთან ვსაუბრობდი,
ჭეხენ მიწიას ენითა.
ხალხი მყავდა კმაყოვილი,
ხალხი ჩემი ფხინია,
საქათველთს ვუძოქიხორი,
ათანადობას ხმინია.
ლაჭმა მყავდა ლეხტი ვიხს,
ლაჭმა ვაყებენავი,
ოი, მახილთს ახლებორს
ეს სიმშაი ნესავი.

ვილაცას სულში რაღაცა სტკივა,
ვილაც სახლიდან შშიერი გადის
მე მას განვიცდი,
ძალიან მაგრად.
ვილაცის სისხლში სიმღერა ჰკივა.
მე მას აღვიქვამ
ძალიან კარგად.
კაცი რომ დადის შუბლშეჭმუნხილი,
ჩემშიც გადმოდის მისი წუხილი.
ვილაცას სულში რაღაცა სტკივა...
ცხრა მთას იქითო იტყვიან სხვები.
ცხრა მთას კი არა,
ყველა მთას იქით,
ვაი თუ ვინმეს აებნა გზები
მე მას განვიცდი
ძალიან მაგრად.
საკუთარი ძმის, ტკივილის გზნებით.
ვილაცას სულში რაღაცა სტკივა,
მე მას განვიცდი
ძალიან მაგრად.

**„შემებრალეზა ვაჟკაცი
ადრე წასული შორ გზასა.“
(ძველი ხალხური სიმღერიდან)**

თავჩაქინდრული ქუჩას მისდევდი,
თითქოს აგკიდეს ათასი ცოდვა,
ვაჟკაცურ ლექსით ცეცხლს გვიკიდებდი,
იცოდი ძილში ლექსების ბოღვა.
გიყვარდა მთები, ქარი და წვიმა,
გადმოვარდნილი კლდეზე ჩანჩქერი,
ბევრს სიმღერები სულ გაუწბილა,
რომ წაუკითხე შენი ნაწერი.
დამემშვიდობე იმ დღეს ბიჭო და
ალარ გამანდე რაც გაწვალეზდა,
მე გავყოლოდი იმ გზას გვიჯობდა,
შენ თუ სიკვდილი გითვალთვალეზდა.

ცისანა ანთაძეს!

იქ, მაღალ მთებში არის სიწყნარე,
იქ, მაღალ მთებში არის სიმწვანე,
წაიღე შენი ლამაზი სული,
თამარის კოშკში დააბინავე.
ვიცი, ქალაქს არ გაემიჯნები,
დროდადრო მოხვალ, ქუჩებს დაივლი,
შემოგხედავენ ვნებით ბიჭები...
სულში გიწყვია ლექსი ქონება
შენა ხარ ძალზე ნაზი ყვაველი
რაც ადვილად არ იპოვნება.

გიორგი ლეონიძეს!

შენ ხარ ვენახი
ძირგაუხმობი,
ბრიალა მზე ხარ
სსიეჩაუქრობი.
ვინ ხარ?!
თამადა,
ჯერდაუთრობი.
საქართველოის
სინდის – ნამუსის
მამა,
მოკეთე,
მოყმე,
ქართველი,
კაცურ-კაცობით
ცხოვრობ მამულში.
მტერს გულს
გაუნგრევს,
ჩვენ გაგვახარებს,
ეგ ლოთიანი
შენი ბუნუნი,
ჩვენი ვაჟა ხარ,
ჩვენი მინდია,
ჩვენი გოგლა ხარ,
ბერი ლუნუმი!

შენ შემოდინარ,
ჩემში და უკრავ,
მუსიკას: ლამაზს,
ჯერ დაუწერელს,
რალაცა ახალს,
ძალიან მაღალს,
ძალზე ვაჟკაცურს!
სხვისთვის უნახავს
ჩემთვის დანახულს.
საქართველოს ცაო ნათელო!

თვალეებრიალა როგორც არწივი,
შავი თმებით და სახით მღუმარი,
ქუჩებს სთელავდა ერთი ყმაწვილი,
იყო თბილისის მორცხვი სტუმარი.
უყვარდა ჩვენი მზეი და მიწა,
ლურჯი მთები და კრიალა ზეცა...
დაიღალა და ერთხელ არ მიწვა,
ტანსაცმელივით ოცნება ეცვა,
გულჩათხრობილი ის დადიოდა,
თითქოს არ ჰყავდა ძმა-მეგობარი,
გულიდან ლექსი სისხლად სდიოდა,
სული ლექსებით ჰქონდა დამთბარი.
ღამეებს თეთრად გაათენებდა,
დილით კი მზესთან იყო ამდგარი,
სათქმელ ლექსს თავს არ დაანებებდა,
კაცი ლექსისგან იყო დამდნარი.
ცხოვრება დარჩა როგორც ქიმერა,
ეცოცხლა ქვეყნად, ვინ აყვედრიდა,
ვერ დაასრულა დიდი სიმღერა,
ისე წავიდა ჩვენი ქვეყნიდან.

სადღაც, მთებში
დაელუპა ქმარი
(ორი შვილის
მეოცნებე მამა).
მისგან დარჩა
სამახსოვროდ: ქნარი,
მამაპაპის
ხალიბური ხმალი.
ატკივლება,
მოუნდება
კოცნა, ნაკოცნ ხალის...
მაგრამ არა,
ვით შეხედოს
მზეს და ნამუსს ხვალის.
იცის, რომ არ
დაბრუნდება,
მანც ელის ქალი.
დაელოდოს –
ლამაზ ტრფობას,
არ გაუდის ყავლი.

შავი თვალებით ღამეს ზარს სცემდი,
ტანის ნარნარით –
ჩუმი ღიმილით;
ყველა ყმაწვილებს თავბრუს გვახვევდი.
ჯანდაბას იქით, რაც იყო, იყო,
მე იმას ვსტირი
იმ ვირგლა ბიჭმა,
ვარდფურცლობა რომ აღრე გაგიყო.
წამოგიყვანა ნაძალადევად –
კი არ მოჰყავდი,
ხელით მოჰქონდი,
სიკვდილს ირჩევდი,
თუ აგცდებოდა,
იმ იდიოტთან ღამის გათევა,
იმ წყევლილ ღამეს იხვევდი საბანს
არ გასურდა იგი
რომ შეხებოდა
მაგ შენს ლერწმის ტანს, ვარდის წყლით ნაბანს...
და ასკეტური გასურდა ცხოვრება,
ცრემლს ღვრიდი, მაგრამ
ცრემლის ღვრა იყო,
ბედშავისათვის ამაოება,
შემდეგ ცხოვრებამ მოგიკლა გული,
დედინაცვლურად დავისისინა,
თუ არ გინდოდა, რამ გაგათხოვა,
ვერ მოისვენე,
დედასთან შინა?!
ოი, ის ღამე დაგვიჯდა ძვირად,
შვილი გყავს ახლა,
ქმარი გყავს ვაგლახ,
მაგრამ სულით კი
დადიხარ ქვრივად.

რა კარგი იყო ცუდი სიზმრის დროს
ცრემლით დაბანილ თვალის გახელა,
რა კარგი იყო შიშველ ფეხებით
ცვრით დაფარული მინდვრის გარბენა.
რა კარგი იყო შლეგ ჩანჩქერებში
ფრთამალ კალმასის ხელით დაჭერა,
ჟრუანტელს მგვრიდა ტოლ-მეგობრებში,
ცეცხლმოდებული ცეკვა-სიმღერა.
საამო იყო ბნელ ღამეებში
ციცინათელა და მისი დევნა...
სად ხარ, ხმა გამეც, რად მემალები,
შემომამუქე ლურჯი თვალები.
სადა ხარ, გიხმობ სანთლით დაგეძებ,
მთის ჩანჩქერივით ჩამორბენილო!
გურიის მთებში გადამალულო,
ჩემო ბავშვობავ!
ლამაზო, ტკბილო.

ბიჭო, რომელ გზას დაადექ!

გამოვდივარ მე ყოველდღე შენი ჭიშკრის წინა,
სტვენით გიხმობ, ლექსით გიხმობ, შენ არა ხარ შინა.
გზაზე მხვდება დაღვრემილი, შენი ბედის სატროფო,
ჩამისახლდა გულში ფიქრი, სანამ ვიყო მარტოდ.
დედაშენი? ცრემლად დადნა, ხელებს აკანკალებს,
ცხელი ცრემლი არ უშრებათ ჩვენი სოფლის ქალებს...
არ დუმდება, არ ისვენებს შენი ლექსის ბწყკარიც,
გამიციანა, გამიღიმა, გამომიღო კარი,
მომეხვია, გადავკოცნე, შენ იყავი თითქოს,
ვნატრობ: ერთხელ სიზმრად გნახო, ძმაო, ჩემო ფიქრო!
ფეხათრევით გადავსერავ შენს სახლის წინ ქუჩას,
ბიჭო, რომელ გზას დაადექ, ბოლო რომ არ უჩანს?!

**მე უსიმღეროდ რამ გამაჩეროს!
(ჩემს ყოფილ მასწავლებლებს
გ. გოგელიას და მ. მათითაიშვილს)**

თქვენთან ბავშვივით მუდამ თავს დავხრი,
თუგინდა გავხდე ასი წლის კაცი,
თქვენა ხართ ჩემი ლექსის თქმა მძაფრი,
გზის გამწაღლავი, მომთხოვნი, მკაცრი...
არც კი ვიყავი თქვენგან წასული,
კტიროდი – ვისთვის კარგად იცოდით,
ნალველი მქონდა გულზე წასმული,
ჩემი ტკივილით თქვენაც იწვოდით...
წავლენ დღეები, სიმღერ – სიმღერით,
თმაში ჭაღარა გამომერევა,
იცით ცხოვრება მქისედ მიბღვერის
მაგრამ ერთხელაც ვერ მომერევა...
ლექსების თქმაში თავზე დამათოვს,
(მე სტრიქონებში ვარწიე ბედი),
არავის უთხრათ, გული ამას ვთხოვთ,
ცრემლთა მერეხში ლექსს ვისთვის ვწერდი...
თქვენს სიყვარულში გადავბუგავ გულს...
თაკარაში ვარ, არ ვძებნი ჩეროს,
თქვენ რომ გიყურებთ სახე გაბადრულს,
მე – უსიმღეროდ რომ გამაჩეროს.

უნდოდა
ემღერა,
ეცქირა,
ეტირა,
ხელში მარადჯამს
ნაწერი ეჭირა.
იცოდა,
ეებდა,
უყვარდა,
წვალობდა,
კაი, იმისი
ლექსების რვეული
რა აღრე
დაობლდა.

ტიციანს, ჩემი ლექსის ჯახანი

პოეტს გვირგვინად მზეი გეზურა,
გულისჯიბეში ვარდი ჩასმული,
ცხოვრების გზაზე შხამი გეპკურა,
„ლექსის წელკავით“ იყავ ჯვარცმული.
შემომხვდი გზაზე, ლექსებად დადნი,
გიყურებ როგორც ძველთაძველ ნაცნობს,
„კვალდაკვალ ჩემი დემონის“ ლანდი,
კაემნიან ბედს უღიმის, ანცობს.
თუ გაგონდება ბავშვობის ხანა,
ფეხი ჩაფლული ორპირის ფმანში,
გულში რომ ჩაგწვდა რიონის ნანა
და აგამღერა პოეტი ბავშვი...
დარჩი ცხოვრების უკმაყოფილო,
ოცნებით მისდევ ქალდას ქურებს,
ნაღველი გიდულს, მამავ, ძმობილო,
დიდ გულისტკივილს ვინ გაგიყურებს.
ხელში უჭირავს დედაბუნებას,
გაზაფხულის და სიცოცხლის ფუნჯი,
ვინ მოგისაჯა – ენა დაებას
და ცხოვრებასთან დარჩესო მუნჯი.
მოდინარ, უცქერ გურიის გორებს,
მუდამ დამყვება შენი ხატება,
მოდინარ, მუდამ ლექსებს მისწორებ
და მერე ძალა მომემატება.
ისევ ხელში აქვს ქართულ ბუნებას,
გაზაფხულის და სიცოცხლის ფესვი,
ვინა სთქვა შენზე არდაბრუნდება,
დაბრუნდი, მოგყვა, მეწყერი ლექსი.

მეგობარ პოეტს

ჩვენ საქართველოს ზეცა გვაგალებს,
ვიყოთ ლექსებით მუდამ დამწვარი,
და წინ გავუსწროთ წინ მიმავალებს,
გულზე გვეყაროს ლექსის ლადარი.
გახედე ზეცას, ლაჟვარდსაფირონს,
ხედავ?! ღრუბლები გადამალულა.
არწივის ფრთებით ლექსი ვაფრინოთ
და სუფთა გვექონდეს ფიქრის მარულა.
გავიხსნათ მკერდი, დავიჭრათ გული
სისხლით დავწეროთ ძმობის ლექსები,
თუმც დაჭრილი ვართ ლექსის ბერდანი
და მაინც ლექსებს ვეაღერებთ.

მე თქვენ გეძახით საქართველოდან

*(ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე,
დასაფლავებულია ქართველი მეომრები.
საქართველოს ისტორიიდან)*

მტერს ქართველურად წამოუფრინდით,
აგემეთ დარტყმა ქართულ მარჯვენის,
ყიჟინ-ყიჟინით უკან მისდევდით,
მაგრამ ვერ ნახეთ დღე გამარჯვების.
ბევრმა თქვენგანმა ვერც კი მოასწრო
სატრფოს ყურის ქვეშ კოცნა ფარული,
გულს ჩაეწვეთა შარბათივით და
ველარ გაანდო ტოლს სიყვარული.
დიდხანს გელოდათ ხელეპანკალა,
გულანათრთოლი, საბრალო, დედა,
ვისი ჭაღარაც გზას გინათებდათ,
ვისი ხატებაც დაგდეკდათ მწედა.
გამოეთხოვეთ, დასტოვეთ სახლში
დედა, მამა და შვილები, ცოლი
კერიის ცეცხლი გაჩაღებული
და სახურავში ამძვრალი ბოლი...
მტრის გასაჟლეტად მუდამ მზად იყავთ
თქვენ, სააკადის ხმლით აღმართული
სამშობლოსათვის გულში ღრმად რეკდა
კრემლში ნათქვამი სიტყვა ქართული...
თქვენ არ ნახული ტანჯვით დაგტანჯეს,
(არ დაეკიდა ცრემლი წამწამებს),
მე – თქვენი ხვედრი ძიაკაცებო
უთქმელ ლექსივით ძილშიც მაწვალეგბს.

ხელში „მნათობი“ ეჭირა მუდამ,
გადაგრაგნილი ეტრატის მსგავსად,
ხალხში არაფერს წაიკითხავდა,
თუგინდ გეთხოვნა სიცოცხლის ფასად.
წარბებგახსნილი ვერსად ნახავდით,
იყურებოდა მარადჟამს კუმბტი,
თითქოს ცხოვრებამ მოურიდებლად
ხალხში ამოჰკრა ცხვირ-პირში მუშტი.
გულჩათხრობილი ის დადიოდა,
ამაყი იყო – მიუკარები,
უნდოდა, ძლიერ მზეს წაეკითხა,
მისი ნაწერი ლექსის ბწკარები...
ის მხოლოდ ჩემთან გაიღიმიდა,
ის ჩემთან იყო კაციც და ბავშვიც.
ნათლი ფიქრი, ნათელი აზრი,
დაატარებდა ოცნებით ხალხში.
ფიქრები – მასზე, თვითონ – ფიქრებზე
იყო ყოველთვის გადაჯაჭვული
ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო
უყვარდა ჩვენი ტკბილი მამული.
უყვარდა.. ჩემთან არრას მალავდა,
იყო ჩემს გულზე გულდანდობილი,
ის იყო ჩემი, მე ვიყავ მისი,
ამხანაგი და გულისძმობილი.
ერთი ძმა ჰყავდა... თურმე მე მგავდა...
ამისთვის უფრო მე შემეყვარა,
დღეს ვხედავ მისი ნათელი გზები,
სიკვდილმა მთებში რომ შეიფარა.

საუბარი სოფელთან

მე შენს ცხელ გულზე დამერწა,
ჩემი ჭრიალა აკვანი,
მე შენს უბეში ვისწავლე,
ტკბილი ქართული ანბანი.
ვაჟაის ლექსებს პირველად
მე შენთან ვეცი თაყვანი,
თუ განსოვს, ჩემი ბავშვობა
თავბრუ დამხვევი ანცობა...
ფაფარაყრილი მდინარე,
სილაწაყრილი ყანები,
წყალგაღმა აკივლებული
კარის მეზობლის ქალები.
ხიდის ქვეშ გატარებული
საფქვავ, დაფქვილით წისქვილი,
შიგ მეწისქვილე დამთვრალი,
და უდარდელი სიცილი...
მერე ლექსის თქმა პირველი,
ლექსის თქმა გაუბედავი,
„ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი“!

დამაქვს ოცნება...

დამაქვს ოცნება, წამივით სუფთა
და სიმღერებით გული მაქვს სავსე,
ყველგან თან დამდევს მე მისი სუნთქვა,
ლექსში ქუხილით რაც მოვათავსე.
ფიქრთან ნაბრძოლი წამოვიჭრები,
მინდორში გავალ, დავარტყამ ბოლთას,
არ დამაწვეთო სულში იჭვები,
ლექსი მომძახის და ლექსი მოთქვამს.
კწერ და მე ამ დროს ისევე ვღელავ,
როგორც საბუქში ზღვა და ჯეჯილი,
ჩემი ლექსების მკაცრი მამა ვარ,
მათზე ამაგით გულგაგლეჯილი.
ქუდად მახურავს ოცნება სუფთა,
და სიმღერებით გული მაქვს სავსე,
ყველგან თან დამდევს მე მისი სუნთქვა
ლექსში ქუხილით რაც მოვათავსე.

მე კი მინდოდა
კარგო ძალიან,
ჩვენი დაცელება
ისეთი თბილი ყოფილიყო,
როგორც გაცნობა იყო.
დღეს აღარ ვიცი
ვისი ბრალა...
როგორ დაგვიწყო!...
როგორ დაგვიწყო!

„მე ვარ ირემი, მთასა მყვირალი“,
გადმოვარდნილი კლდეზე მარტოკა,
დავეხეტები როგორც ფირალი
და შენმა ტრფობამ უღვთოდ გამოთოკა.
ეს მე ვარ შენი სულის სიგრილე,
გახურებული ვნებების ჩერო,
ათასი მთები გადმოვირბინე
სულმოუთქმელად მინდა გიმღერო.

წყლიან თვალებში გიცქერი
უფრო, რომ არ მოწყლიანდეს
ვაი, თუ ევრ ვთქვა სათქმელი
ვაი, თუ ღამიგვიანდეს.

შენ, მოგელიან
გურიის მთები,
როგორც დედოფალს.
შენ მოგელიან
ჩემი შშობლები,
როგორც პატარძალს,
შემომხედე და...
შენმა თვალებმა
უხმოდ დამთოფა
წამართვა ძალი,
შენ უნდა გახდე
ჩემი ოჯახის
პატარა რძალი.

ყველა ბრუნდება სახლში,
შენ არა ჩანხარ, რატომ?
იქნებ შეშინდი გზაში
და ვერ მოდიხარ მართოდ.
ნმა მომაწვდინე, მოვალ,
ციმციმ აგიყვან ხელში,
ცოლად გამომყვე, დროა,
ვიდრე გაქვს გოგოს ეშხი.

მზე განათებდეს, გწკავდეს,
იყავ მზესავით მწველი.
შენზე სიმღერებს თხზავდეს
ასი პოეტის ხელი.
და კითხულობდეს ყველა
ამ ქვეყნად მზე ვინ არი
მე, ვიყო შენით მთვრალი,
მე, ვიყო შენი ქმარი.

მე წავალ და
შენ აქ უნდა
დარჩე?!
ჩემი გზაა
ფიქრიანი,
ძნელი.
რა ვქნა, კარგო
ბედი ასე არჩევს,
მივდივარ და
გული მიმაქვს
ცხელი...
სიმღერებით გადავივლი
ლიხის მთას და
გომბორს,
ღმერთმა ნუ ჰქნას
ველარ ვითხრა –
შემიყვარდი
როგორ
ამ ფიქრების
მწყემსი
ნაბღიანი
გოგო!

სხვებმა არ მინდა,
რომ გამახსენოს
შენი თვალები
დაუვიწყარი.
მე შენთან დავრჩი
კარგო უენო,
შემიყვარდი და...
ველარ გითხარი.

სიყვარული

მოვიდა როგორც აპრილის თქეში,
ძარღვებში შლეგი სისხლი გაქანდა,
შემომანათა ლამაზის ეშხით,
პატარა გოგო უცებ დაქალდა.
ჩემთვის არ უთქვამს არცერთი სიტყვა,
ისე დამადო გულზე მაღამო.
გაგიგონიათ? რომ სადმე ითქვა,
სიყვარულს ვინმე დაემალაო?!

მთებს წამოესხა სიცივის თექა,
ხელაწვდილ ტყვეებს ჰგავდნენ ხეები.
მინდოდა შენტვის რალაცა მეთქვა,
უცებ გაფრინდნენ ტკბილი დღეები.
მერე მოვიდა დიდი ზამთარი,
გადავიარე ასი ხეობა.
მომავონდები სუსტი, გამხდარი,
სულში მეღვრება ლექსი-მზეობა.

მთებს გამოვექეც, როგორც მდინარე,
ამღერებული, აზვირთებული,
სანაპიროზე შემხვდი მდიმარე,
მკერდში ვიგრძენი ძალა მთებური.
ტკბილო სიცოცხლევე, ლურჯო ოცნებავე,
ოცი წლის მერე რომ მოგაგენი,
ვარ უკვდავება, ვარ საოცრება,
სხვამ ვინ დაკოცნოს შენი ბაგენი.

ანთებულ გულს და ანთებულ სტრიქონს,
ჭაბუკურ ვნებებს შენ გინახავდი.
მე კი მეგონა გიყვარდი თითქოს,
და არ ვიცოდი თუ დამძრახავდი.
დამშორდი, მაინც ჩემთან ხარ ახლოს,
ჩვენში რაც იყო, თურმე იციან,
გთხოვ, შენმა ბავშვმა არ დამიძახოს
ხალხში როცა ვარ – ლაღო ბიძია!

ამ მაღალ მთებს და
ამ მაღალ ხეებს,
ფიქრს რომ მახვევენ,
მინდა კაცივით
ველაპარაკო.
მინდა წამოვწვე
ვეება ქვებზე,
ასე ვიფიქრო
და ვიოცნებო.
ბუნების ენა
უნდა ვისწავლო.
მთების სიმკაცრე,
ზეცის სილურჯე
უნდა ვიწამო,
უნდა ვიწვავლო.
ძვლებამდე ჩამწვდეს
დილის ცვარნამი,
სულში მეფინოს
ბალახი მწვანე...
ვიყო ალალი,
ვიყო ამაყი,
ქართველებს ბევრი
გვაქვს საამაყო.
გლეხკაცი ვიყო
ბრძენ ვაჟასავით...
მერე ხმამალა
სიმღერა ვჭექო,
შემაჟრილოს
ჩემი ხმის ექომ.

ამ გაზაფხულზე

ამ გაზაფხულზე
უნდა ვიქუნო,
ამ გაზაფხულზე
ყოველ რთულ თემას
მე ვაუკაცურად
გაკეპასუნო.
ამ გაზაფხულზე
ცეცნლმოდებული,
ულამაზესი
ეს სიჭაბუკე
უნდა დავტოვო.
და თმებში თეთრმა
ფერმა დამთოვოს.
ამ გაზაფხულზე
უნდა დავკაცდე
უნდა დავბრძენდე,
უნდა დავწყვილდე...
ამ გაზაფხულზე
ისე ვიჭექო
გულის ფიცარი
მტერს გაუნგრიოს –
ჩემი ხმის ექომ.
ამ გაზაფხულზე
ბევრი ვიცინო,
ბევრი ვიმღერო,
ამ გაზაფხულზე
მე უსათუოდ
კარგი ლექსები
უნდა დავწერო.
ამ გაზაფხულზე
დედაო მიწავ!
მე უსიმღეროდ
რამ გამაჩეროს.

ჩემო ხალხი! ნედლო მიწავ!

ჩემო ხალხო!
ჩემო მიწავ!
თქვენი დიდი
სიყვარული
ჩემში თქვენით
გადაირწა,
გადაირწა,
დაიქუნა,
არ მასვენებს
ეს სიმღერა.
ჰაერს ესუნთქავ
მაღალ ზეცის
და ფილტვები,
სასიმღეროდ
იბერება.
„დავიღლები
საქართველოს
სიყვარულში“
დავიღვრები
საქართველოს
სიმღერებად.
ქართველების
სამოსახლო
ბალი-ბაღა
ერდო- ბანი
მეზობლები
ახლო-ახლო,
მათი ტკბილი
საუბარი.
ეს ქართული
გალიმება
და ქართული

პურ-მარილი,
ზღაპარით
ცხოვრება და
უკეთესზე
ოცნებები...
გამრჯე ხალხო!
ნელლო მიწავ!
შენი შვილი
ვილოცები:
უფრო მეტი
გკჟონდეს ჩვენი
წაბლიანი
და მუხნარი,
მტრებს კი შიშის
ურჟოლას გვრიდეს
ქართველების
ნამუხლარიც.
ჩემი ხალხი,
ჩემი მიწა
მწვანე ფერა,
რამაც ასე
ლოთიანად
დამათრო და
ამამღერა!

ბილიკ-ბილიკ,
ტყეში ტყე-ტყე,
შარა-შარა
მთებში მთებ-მთებ
ნედილ სახრით,
წაბლა მოზვერს
ფენშიშველი
კსდევ.
სიზმარეთში
ყურით ვიჭერ
ცხრათავიან
დევს...
ბილიკ-ბილიკ,
ლელე-ლელე,
ლობე-ლობე,
ხეებ-ხეებ,
კლდეებ-კლდეებ,
შუკა-შუკა
დავსდევ უკან.
შარა-შარა,
ყანა-ყანა,
ჩემს ბავშვობას
კეძებ მარა
ვაი, იგი
თვალ-ხელ შუა,
როგორ უცებ
გამეპარა.

ქეთევან დედოფალს

ვისი ზმა არის, ვისი ძახილი,
რომ არ მასვენებს შუალამეშიც?
ეს ვინ ღამასო გულზე მახვილი,
სულში დემონის არის თარეში.
მელანდებიან შენი თვალები,
თითქოს ვიღაცამ შანთით მოთხარა,
დაგიწვა სახე, ფერნამკრთალები,
მე ნაკვერჩხლები გადმომაყარა.

სურათები ფიროსმანის ცხოვრებიდან

(სურათი პირველი)

მდიდარო კაცო!
მიეცი ამ კაცს
ცოტა ფული და
ცოტა ღვინო,
თუ გსურს ღუქანი
მოგიხატოს
საოცნებო და
სულ საღიღინო.
მდიდარო კაცო!
მიეცი ამ კაცს,
ცოტა ფული და
ცოტა ღვინო
თუ გსურს ლაჟვარდში
ღუქნიანად
გადაგაფრინოს...
მდიდარო კაცო!
მიხედე ამ კაცს!
ეხვეწებოდა
ყელგამოწევით
მსუქან მიკიტანს
ნიკოს ამქარი.
(ყანწებს, ყანწებზე
სცლიდნენ ლოთები).
ჰაა
მიკიტანმა
ზე ასწია
ეჭვით წარბები
და შეისწორა
მსუქან ღიბზე
ფართო ქამარი...
ფულიან მუშტრებს

გაუგრძელა
ისევ ქაქანი.
მას თავზე მოხვდა
ბოთლი და ჭიქა
ქუჩაში გარბის –
ნიკალა და
მისი ამქარი.

სურათები ფიროსმანის ცხოვრებიდან

(სურათი მეორე)

ჰე, ქართველო დარდიმანდო!
რას უყურებ, რას!
ფიალაში ღვინო გიდგას,
რატომ არ სვამ მას.
—დალიეო —აძალებენ
თან გაჰკრავენ მხარს
შთაგონებით მთვრალია და
შთაგონება სწვავს.
რაზე ფიქრობს, რაზე დარდობს
ლოთნი არა, ვერ გაუგებს
საკუთარი ძმაც.
თავდახრილი მიწას უცქერს
ბალახებზე ცვარს...
დასათრობად არ სცალია
ხატვის ჟინი ჰკლავს,
მიწიერი ყველაფერი
დახატა და... იგი ხატავს
ახლა ქართულ ცას.

ნეტავი იმ დროს რომ გიმღეროდი,
ტანში სიამით მაჟურჟიალებდა,
ლექსი ვიყავი, ცას შევცქეროდი
ჩემი ლექსები მაბრიალებდა.
დღეს თბილისში ვარ ოცნება მთოკავს
ფიროსმანივით მსურს მარტოს გავლა,
შენზე ფიქრი და
შენზე ოცნება...
ჰეი! თუ მომკლავს,
ან სულში ვარდებს ამიხმობს მართლა...
მინდა გიმღერო გედის ხმით ერთხელ
—ბალადა მუხის გადარჩენისა—
მერე აზავდეს მუხების ღმერთი
თუნდ დასწვას თქმული ჩემი ენისა.

არსაკიდის ძახილი

არ შემიძლია მე აქ დარჩენა,
არ შემიძლია მეტის ატანა
წუხელის ჩუმად მომჭრეს მარჯვენა
და ჩამისახლეს სულში სატანა,
არ შემიძლია მეტის ატანა
ამაღამ უნად მოვიკლა თავი...
და უკვდავებად
გავიდა ხალხში.

ფიქრო ჩემო

ფიქრო ჩემო! გრძნობავ ჩემო,
ჩემო სულის კლიტვე!
მეოცნებეს თვალები მაქვს
ზღვა ოცნებებს ვიტევ.
ყელყარყარა, თვალციმციმა
შენ, ქართველო ქალო!
ჩემო ტრფობით დამბურგველო
ჩეუქრობო ალო.
ცეროდენავ, ერთობეწო,
ჯერ უთქმელო ლექსო!
ჩემთვის სასიკვდილო დანა
ხომ არ გინდა ლესო!
გაზაფხულის ვარდებივით
აგტკეცია ლოყა
ცხრა მთას იქით გადავედი,
მოველ ტრფობა მომყვა,
ყველას ვუთხარ რომ მიყვარხარ
ვინც კი გამაჩერა
მხოლოდ შენ ხარ ჯიუტი და
მხოლოდ შენ არ გჯერა,
მომკალ ბარემ სიყვარულის
თუ ვარ ბედისწერა.

პოეტი კვდება

(ლადო ასათიანს!)

დინჯად მიჰყვება ქარაფის პირებს,
შორს იყურება არწივის თვალთ...
სახეზე აძევს ფერი ფერმკრთალი,
მიდის და ლექსით სუნთქვას აპირებს.
ფილტვებში ჩხვერავს რალაც და იწევს,
მიდის, მიჰყვება ვიწრო ბილიკებს...
მიდის, მიდის და... შარას მიიკვლევს...
ჭლექის სახელი ქვეყნად დაიწვეს!
ჩერდება, კაცი ენამზიანი,
და „სალალობოს“ მოუნდა კითხვა,
სიტყვებთან ერთად სისხლმა იფეთქა...
პოეტი კვდება – ნეტავი ვინ თქვა!
ლექსები ჰქონდა მუდამ ცვრიანი,
ჰქუხდა, ჰქუხს ლექსი ლამაზფრთიანი
კვლავ ცოცხალია ასათიანი.

ახალგაზრდული

ჩვენ შევეჩვიეთ
კოსმოსში ფრენას,
ისევე, როგორც
ავტობუსების
შორეულ მარშრუტს.
ჩვენ შევეჩვიეთ
ძნელ საქმეებთან
ვაჟაკაჯურ შებმას,
ამაზე მომცემს
ჩემი თაობა
ჭეშმარიტ დასტურს.
ვიგემეთ დიდი
ომი, შიმშილი,
(და უფრო მეტი
მერე სიცილი),
არ დავცემულვართ
ჩვენ სულით მაინც
და მოთმინებით
ველოდით აისს.
არ გვსურდა იგი,
რაც ჩვენ არ გვშვენის,
მოძმეს მივეცით
სითბო და სისხლი,
ვიცოდით ჩვენი,
ვიცოდით სხვისი...
ჩემი თაობა,
კარგი თაობა,
ლამაზ ზღაპრების
ვართ გამართლება.

საუბარი მდინარესთან

შენ, ლურჯ ჩქერებს მოაეღვებ,
მე ლექსების სტრიქონებს,
მოვალ, ხშირად ჩამოვირბენ
და ბავშვობას ვიგონებ.
ბევრჯერ წვეთი მაყლაპვინე.
ბევრჯერ ამათამაშე,
ბევრჯერ მკერდში ჩაგიფრენდი
კენჭებს-თეთრ-თეთრ აღმასებს.
გახსოვს როგორ მოვძვრებოდი
შენს უბეში ბაღლები,
როგორ მღერით, როგორ ლაღად
გვღვევდი ცელქი ტალღებით.
თავშიშველი, ფეხშიშველი,
დაცქქეროდი ზევიდან...
შენზე ერთი საყვედურიც
ვერაგინ მათქმევინა.
ახლაც მოვალ, ახლაც გნახავ,
ახლაც ისევ ვიგონებ
ხან აგიღებ, პეშვით შეგსვამ,
ხან გიძღვნი წრფელ სტრიქონებს.

ბიჭო, ზაურია!

*(კაცი გაგიჟდა, ცოლი დაჭრა დანით,
მოგვარე კაციც დაჭრა და ჩემი სკოლის მეგობარი
ზაურ პეტრეს-ძე ჯიბუტი მოჰკლა).*

ახლა შენს სოფელში
აპრილის და მიწის
უჩვეულო ხმაურია.
პირში სული
გიბერეთ და მაინც
ველარ მოგაბრუნეთ
ბიჭო, ზაურია!

სიცილი და სიმღერა
ვაი როგორ გიყვარდა
ღვინის მსმელი ჭაბუკის
სახელი გაგივარდა,
შენ იყავი მრავალი
ლხინის კარის გამღები,
მღეროდი და გუგუნებდნენ
ეკლესიის თაღები,
სოფლის ბოლოს ქარს მოჰქონდა
ვაჟკაცური სიმღერა,
ნეტავი სულ გეცინა
ნეტავი სულ გემღერა,
ამის მეტი სიცოცხლე
ბიჭო! თუ არ გეწერა.
შენს სოფელში ისევ
აპრილის და მიწის
უჩვეულო ხმაურია
პირში სული
გიბერეთ და მაინც
ველარ მოგაბრუნეთ
ბიჭო, ზაურია!

ადრე
მომწონდი,
ვამბობ მიყვარდი,
შენზე
ვიყავი
ლექსით ქადაგი,
ყორნის
ფერ წარბებს,
ყორნის
ფერ თვალებს,
იდეალურად
ქვეყნად ვხატავდი.
(ხდება
ხანდახან,
ეს ცხოვრებაში,
შენ კი
ბოლომდი
დარჩები ბავშვი).
თურმე
შენ დაგცდა!
კარგი
ბიჭია,
კარგი
პოეტი,
დიდი
აქვს განცდა
და ინტელექტი.
მაგრამ,
ჩემზე რომ
არის დაბალი?!
ვაი,
ვერ ხვდები:

ლამაზი ფიქრით,
მაღალ
ოცნებით,
პოეტურ სუნთქვით,
შენს არჩეულზე,
მე ვარ მაღალი!

უშენოდ –
ჩემთვის რამ დააღამა,
უშენოდ –
ჩემთვის რამ გაათენა,
ჩემო მანანა,
სულის ნათელა!
მე უენზე,
ფიქრით შემომათენდა,
მე უენზე
ფიქრით შემომღამდა...
კარგად
გამიგე,
კარგო
მანანა!

ჩემი
სათქმელი
გითხარი ლექსად,
ჩემი
სათქმელი
გითხარი პროზად,
ჩემი
ლექსებით
დღეს მე მაუგებ,
თუმც მართალი ხარ,
პოეტურ გრძნობას,
შენ ვერ გაუგებ!

მე გეხვევი,
გკოცნი, შენ კი სტირი,
იმდენს გკოცნი,
რომ მიშრება პირი...
გთხოვ ძალიან,
დაიოკე ვნება.
შენს თვალბში,
ვიღაც მეჩვენება!
ნუ მიცქერი,
მორცხვად და სათუთად –
თორემ მუხლებს,
მზერით გაგიქურდავ.

მონადირის სიკვდილი

I

ალიონისას წამოდგა მშვიდი,
დაჰკოცნა ფრთხილად მძინარე ცოლი –
ასე ლამაზი ჯერ არ ყოფილა
ცოლი ვაჟკაცის მკლავზე ნაწოლი
აიღო თოფი და საგზლით აბგა,
ტყვია-წამალი, დანა-ხანჯალი,
გაუდგა გზას და, რალაც დანანდა.

II

ექვს დღეს იარა მთის ქარაფებში,
ნანადირევი ჰქონდა საკმაოდ,
მარჯვენა ფეხზე გაუცვლა ლანჩა
გაბანდა მაგრამ ვაი, რომ იგიც უცვეთი დარჩა.
მეშვიდე დღეს კი ავარდა ქარი
ჭექა-ქუხილი, ზათქი-ხანზარი...
და მონადირემ მონახა კლდის ქვეშ
მყურრო ადგილი, თავშესაფარი.
ქვევით მდინარე მიდის ღრიალით,
მიაქვს ლოდები უზარმაზარი,
გავიჟებულა მთის მდინარე და
ყალყზე უდგია რუნი ფაფარი.
არის ქაოსი, ქარი და წვიმა,
ლამის მთა-მთაზე გადააწვინა
თავაწყვეტილი აწვება ქარი
და მონადირის თავზევით მისცა
იმ კლდესაც ბზარი, უნდა კლდეები
სხვაგან გადადგას –მართლაც გადადგა–
მეორე დღეს კი მკერდმელეწილი
კაცი მდინარემ ჩამოატარა.

დედა

შენს ჭაღარას, შავ ღამეშიც,
მე დღესავით ვხედავ,
სიცოცხლეზე უტკბესო და
საყვარელო დედა.
მანსოვს როცა ცეროდენას,
მიყვებოდი ზღაპარს,
შენ უვლიდი, შენ ანთებდი,
ჩემი სულის ლამპარს.
დედა, მაშინ რაც მიმღერე
ლექსად ამოფრინდა...
ის ზღაპარი, ის ნანინა,
ოი, როგორ მინდა...
მომიტყევე, რომ ხმამაღლა,
შენთან სიტყვებს ვბედავ,
რა ვქნა როცა სიმღერა ხარ,
სიცოცხლე ხარ - დედა!

ო, ნუ მანათებ მაგ ელვის თვალებს,
ნუ ჩამომივლი ნიავექარივით,
ნუ, ცეცხლივით ნუ ამაბრიალებ,
ნუ მომექცევი იმ თეთრ ქალივით.
ის თეთრი ქალი, თეთრი თოვლივით,
დღესაც ხატია ჩემი, ნათელი,
მის სიყვარულში დამარცხებული
კაცი ჩამოვდნი, როგორც სანთელი,
მარჯვნივ ლოყაზე რგოლის ბეჭედს ჰგავს,
მისი ტუჩებით ნაიარევი,
იგი გათხოვდა... უკვე ბავშვიც ჰყავს,
მე კი უცოლოდ დავიარები,
ჰოდა ვითხარი, ნუ შემომხედავ,
ყელს ნუ იღერებ, ლამაზი შველი,
თორემ, თუ ტრფობამ სულში ჩამხედა,
შეგიყვარებ და ველარ მიშველი!

მე ვარ სიცოცხლე

მე ვარ სიცოცხლე
ღიმილი, ცრემლი
ამ ულამაზეს
ტკბილ ქვეყანაზე
ჭეშმარიტ ტრფობით
გული მაქვს ცხელი
წაილე, სული
შემოგთავაზე

ცას წავალ

ცას წავალ!
ვარსკვლავებს დავკრეფ,
ჩამოვიტან და გაჩუქებ!
ოღონდ ღიმილი მიჩვენე,
ღიმილი შემომაშუქე

აქ ცხოვრობდაო
პაოლო თურმე,
გვამცნობს წარწერა...
ორლულიანზე
თითის გამოკვრით –
სულის შემძვრელი
და ვაჟაკური,
ნაღდი პოემა
უხმოდ – დაწერა

ცას წავალ სიმღერ-სიმღერით
დავიძობილებ ვარსკვლავებს
შენაც წაგიყვან, ნუ სტირი -
აწყნარდი, ნულარ კანკალებ.

**შენს კაბას ასდის სურნელი
ე.ხ.-ს**

შემხვდები:
გაღაგებვევი,
გაკოცებ,
მოგეფერები,
შენს კაბას
ასდის სურნელი,
ჩვენი ბავშვობის
დღეების,
ფერების
და სიმღერების

ლაშას

ფოთოლ, ფოთოლ,
უშეცდომო
თვლით,
შემოდგომის
ფერები
მოდის ხიდან
ძირს.
მრნატრება –
ვეფერები
ჯარში წასულ
ბიჭს.
რა ვქნა შვილო!
სულში მაწვიმს
უშენობა
ჭირს.

ნეტავ ციდან
ცრიდეს წვიმა,
შენ კი არსად
გქონდეს ბინა...
ჩემი ხელით
წნელით მოწნულ
თბილ კარავში,
შენთან ერთად
ცეცხლის პირას-
ზედ მიწაზე
დამაძინა ...
მერე ჩვენი
ბავშვობა და
სიყვარული
დამასიზმრა.

ჩემს დას ზინას

ცაზე ბრიალა,
მთვარე ეკიდა
ძალი იფხანდა
კისერს ფეხით და...
გამალებული
ისე უსვამდა
გეგონებოდა
„სკრიპკას“ უკრავდა
ცაზე ბრიალა
მთვარე ეკიდა

ერთად-ერთი ცოლისა და
სამი შვილის პატრონი –
ერთად-ერთი ქმარისა
და ორი შვილის პატრონი
ქალზე ვფიქრობ...
ვფიქრობ განა ცუდ რამეს?
არა ასე
არ გამიგოთ.
პირველ ტრფობის კარავში
ვზივარ ცეცხლი მინთია.
დამზრალ თითებს
და სულს ვითბობ...
ქარი კარვის
კარს გააღებს...
მე ვლოცულობ

ძახილი

გივი (ბიჭოია) მათეს-ძე ჭეიშვილს
მე – დავუხუჭე უკანასკნელად თვალები

ვაი, ბიჭო ბიჭოია –
ნაადრევად წადი,
არ იქნა და არ გამოცხვა,
შენთვის ობლის მჭადი,
ბიჭოია! ბიჭოია! ...
მინდა ლექსით მოგეფერო,
(იქნებ ასე გვიჯობს)
გული მტკივა, სულში მაწვიმს,
ბიჭოია, ბიჭო!
არ გამართლდა ძველი თქმანი –
ობლის კვერი ცხვაო.
არ განათდა შენი წილი,
საქართველოს ცაო...
მენატრები, გეფერები
ბიჭოია, ძმაო!

დილის სუთ საათზე
ჩემი მეზობლის
ქვრივი ქალი,
იძახის
მო! ლამაზა! ოო...
გული მეკუმშება –
წუხელის ძროხა არ ყოლია შინ,
ვაი, თუ ქურდებმა –
ლამაზას შეუმოკლეს
დღე?!
ობლები ელოდება
რძეს.

ერთი ლამაზი კარგი სიტყვისთვის

არის: წამება, წვა და თიმთიმი,
ნერვების წყვეტა, ჯახი ჯახანი,
ერთი ლამაზი კარგი სიტყვისათვის
ათასი ფიქრი დასახარჯავი.
არდაკარგულის ძებნა, ძიება,
შუალამისას ჩუმი ხარხარი...
ეს მხოლოდ მაშინ გეპატიება
სიმღერასავით... თუ ხარ მართალი

მთელი სიცოცხლის მანძილზე

ვაი, ვის უნდა
ეკოცნა
შენი ჭკვიანი
თვალები.
მთელი სიცოცხლის
მანძილზე
წუთისოფელი
ულვთა,
რა უკუღმართი,
რამსიგრძე

თამუნია ჯოხაძეს!

დავდები ასე ხელეზაწვდილი,
ისევე როგორც იესო ქრისტე,
მე შენ წაგართვი სულის მანდილი
მერე ჩემს სულში უცებ დაკვიდე...
კიდევ და კიდევ
ვიმღერებ შენზე.
ისევ და ისევ
თბილ სიზმრებს მისევ.
მე დავიჩოქებ მაღალ ფეხებთან
დამატრობს შენი ვნებათა ღელვა
სურნელოვანი თმების შეხება...
ვიცი ამ სახლში მამა-პაპურში,
აპრილის თვეში იტირებს ბავშვი
დამემსგავსება ნამღვილად ხმაში.
მამა ვიქნები – მამა, კაცური! ...
კიდევ და კიდევ,
ვიმღერებ შენზე.
ისევ და ისევ
თბილ სიზმრებს მისევ...
ბოლოს და ბოლოს,
ყველაფრის ბოლოს
მე გამისკდება სიმღერით გული

ზ----ს

ეგ თვალები
მომაკყარ და
მომანათე...
ტრფობის ცეცხლი
დამინთე და
მე გამათბე,
მე გამათბე

შენი სიცილი
მაგონებს,
კაკბის
კაკანს
გაზაფხულზე, რომ
მოუხმობს
მამალს...
გემუდარები
ნუ ბაძავ
კაკაბს
და ნუ ამიტებს
ამ გულის
კანკალს...
თორემ, ჩააცმევ
ჩემს ცოლს შავ
კაბას.
ნუ ბაძავ
კაკაბს.

სიმღერა

№---ს

ორი შვილის კარგო დედა!
ერთი კაცის იმედო
მე შენს გამო შემიყვარდა
მთელი საიმერეთო.
არ მგონია, რომ სადმეა
შენნაირი ქალები.
არ მქონია, რომ სხვებს ჰქონდეს
შენნაირი თვალები
არ მგონია, ვინმე იყოს
ჩემსავით ნაწვალეები...
ორი შვილის კარგო დედა!
ერთი კაცის იმედო
მე შენს გამო შემიყვარდა
მთელი საიმერეთო!

ტიციანის სურათთან

რა ძუნკალი დრო ბრუნავდა,
რა ოხერი, ავქარი.
შვილი მამას არ ინდობდა
და არც ამქარს, ამქარი...
მერე ტყვიით გაგიხვრიტეს –
შუბლი დასადაფნავი.
საქართველოს მონატრეს
შენი წმინდა საფლავი
ვაი, როგორ გაგიმეტეს
კაცი ცამდის მართალი...
შენი ლექსი?!? მზისკენ მიდის
დღესაც მტრედებზე ფართქალით
აი, ჩემი სამძიმარი –
შენზე თქმული მართალი.

შენს ჭიშკართან
ისევ ჭა და
ჭადარია.
ერთმა კოცნამ,
ერთმა ხვევნამ
ღამათრო და
გადამრია.
განვლილ წლების
მოგონება...
ფერფლწაყრილი
სიყვარულის
ჩაუმქრალი
ღადარია...
შენს ჭიშკართან
ისევ ჭა და
ჭადარია

ხარის ტირილი

მე ავტირდები,
მე ავტირდები,
ობოლის ცრემლით
(დიდი რამეო
თუ ატირდები,
ჩაიქირქილებს
ხალხში ვილაცა)
ხარის ნაკლავზე
ხარი, რომ ბლავის
ბლავის და მერე
რა გულსაკლავად
ისე ვიტირო
მინდა დამაცათ,
ხარის ტირილით
დაუფარავად.
მე ავტირდები!!!

ვილაცას სულში რაღაცა სტკივა,
ვილაც სახლიდან მშიერი გადის
მე მას განვიცდი
ძალიან მაგრად.
(ვილაცის სისხლში სიმღერა ჰკივა,
მე მას აღვიქვამ
ძალიან კარგად)
კაცი, რომ დადის შუბლშეკმუნნილი,
ჩემშიც გადმოდის მისი წუხილი
ვილაცას სულში რაღაცა სტკივა...
ვილაცას სულში აწვიმს და ათოვს
ვილაცის სულის საძირკველს სტკივა
საღღაც ხეს ნორჩი ფოთლები სცვივა
ცხრა მთას იქითო იტყვიან სხვები,
ცხრა მთას კი არა
ყველა მთას იქით
ვაი, თუ ვინმეს აებნა გზები
მე მას განვიცდი,
საკუთარი ძმის, ტკივილის გზნებით.
ვილაცას სულში რაღაცა სტკივა,
მე მას განვიცდი,
ძალიან მაგრად.

შეიცხადებენ...
ბებრები უფრო დაიზავთება,
ცას შეასკლება ქალთა კივილი,
სულში უეცრად ჩამოზამთრდება
და გვემატება დიდი ტკივილი...
მერე ვუყურებთ ძვალთჩასალაგებს...
ასე მგონია ქალების კივილს,
მამაკაცების ბოხი ტირილი –
აფიშასავით ცაზე ამაგრებს

შვილო ეკა!

სიყვარულმა, სიხარულმა,
მზის სხივებმა გამოგჩეკა,
მე ლექსების ნიაღვარმა
წამიღო და გადამლეკა,
საქართველოს ლამაზ ცაზე
იქნება გაგჰკრა ერთი ელვა
ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ გათავდეს
ჩემში ლექსით წვა და ლელვა.
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
წამიღო და გადამლეკა...
იქნებ რამე შენ მიშველო
ციცქნა გოგო, შვილო ეკა!

მერე რას იზამ!
მერე რას იზამ!
თუ ამ ცხოვრებამ
ფეხქვეშ გაგთელა
და ვერ აენთო
სულის ნათება.
ცოლმა და შვილმა
თუ მიგატოვა
ფიქრმა და ღარდმა
დაგიმარტოვა
მერე რას იზამ!
მერე რას იზამ!
თუ შენმა გემმა
შორს ვერ გასცურა
და ყელში ხმამ ვერ
გისალამურა,
არ შეგისრულდა
დანაპირები
თუ მეგობრისგან
გაიწირები
ათასი რამე
თუ დაგაბრალებს
და კარგი ყველა
სულ დაგიმალებს
მერე რას იზამ!?!
შენ გეკითხები
სულო მაღალო...
...ლამაზ სიმღერად
გადავიქცევი.

ეკას!

გოგო, გოგო გოგობილა
მთაში ფაცხა მოლობილა
შიგ ცხოვრობდა მებადური
ჰქონდა მწვანე სალამური
ხმატკბილი და სიამური
უმღეროდა გოგობილას...
სიმღერაში ცეცხლი ენთო
არ უნდოდა კაჟი-კვესი...
პირველ ტრფობას მისტიროდა
სალამური ანაკვნესი,
გოგო, გოგო, გოგობილა

თამარის

ქედზე მადგია
ცაცხვის უღელი
ლამაზი მჩატე,
ტაბიკებით და
აპეურებით.
შენზე იმდენი
ლექსი დავწერე
გაბეძგილია
თითქმის ურემი.
შენი ერთგული
ნისლა ხარი ვარ
ხარი საუღლე.
ისევ ცალად ვარ
ისევ დაგებებ –
ისევ ვკიმანობ...
იქნება გახდე
ჩემი მეუღლე
ჩემო იმანო

და წვიმს ცრემლები ლ-ს

პირველ ტრფობის
სევდის კარავში
ვარ შეყუყული
და...
წვიმს ცრემლები.
ოცი წლის მერე –
შენს დანახვაზე,
გული ფართქალებს
და...
ნერვიულად
მითრთის ხელები.

ვაი, როგორ
მენატრები,
ოი, როგორ
მიყვარხარ,
მე შენს იქით
სხვა გზა არ მაქვს,
შენ ჩემს იქით
ვერ წახვალ.
გულში ცეცხლის
ჩანთებაა,
სულში ლექსის
ჩაფრენაა,
ჰანგში ჰანგის
ჩაფენაა,
შენი ერთი დანახვა.
ვაი, როგორ
მენატრები,
ქვივო ქალო!
მიყვარხარ!

ლილიანა

რომ არ აცვივებულიყო,
რომ არ გაწვიმებულიყო,
რომ არ გათოვებულიყო –
რომ არ გაეთხოვებინათ
ლილიანა ლამაზი.
თავზე ხელი, რომ ამელო,
კყოფილიყავ ყაჩაღი,
ღამით მძინარს
დავცემოდი
ჩემი ცოლი განდებოდა
ლილიანა ლამაზი.
მერე წელზე დამეკიდა,
ფიშტონა და ხანჯალი,
აბრაგობა, ვაჟკაცობა,
ერთი ქალის მოტაცება,
ყველაფერი შემრჩებოდა
ტკბილად დასახარჯავი.
რომ არ გაეთხოვებინათ
ლილიანა ლამაზი.
...ო, რამდენი დრო გავიდა,
შემხვდა, ლექსი დავძარი,
თურმე სულში ისევ ბოლავს,
სიყვარულის ხანძარი.

წერილი მეგობარს

მცენარის ფესვის
სიჯიუტით,
ვებრძვი ცხოვრებას...
ყოველ წამ-წუთში
სამი შვილით
ველოდები
ცხრა აპრილის
გამეორებას.
მე ვიცი, ეს გზა
სად მიგვიყვანს,
ან რას მოგვიტანს...
ნეტავი ახლა
შენც ჩემსავით
ხომ არ ფიქრობ
ჩემო ძმაო,
ჩემო გოგია?!?

იმედი

ეთერი ხნიკაძეს!

გულს მუშაობა
თუ გაუჭირდა
და მერე მაჯის –
ცემა გახშირდა,
თუ ყველა წამლის
შოვნა გაჭირდა...
შენ თუ დაგჭირდა
გულს ამოვიჭრი
ფრთხილად ჩაგიდგამ,
შენ თუ დაგჭირდა

ყველაფერზე გული მწყდება

ე. ხინიკაძეს!

მიდის, მიდის
ეს ცხოვრება:
ვისთვის ფრენით,
ვისთვის ლხენით,
ვისთვის ღრენით,
ვისთვის ჭენებ-ჭენებით.
ცოტა ტკბილი
ბევრი მწარე,
მოწამლული ენებით.
მგონი სამოცს
მივადექით,
ძმური ხვევნა-ფერებით
კიდევ, ორმოცს,
გადავუფრენტ
ლამაზი სიმღერებით.
მიდის, მიდის
ეს ცხოვრება
ფრენა, ღრენა, ჭენებით
ცოტა ტკბილი,
ბევრი მწარე
მოწამლული ენებით
ყველაფერზე
გული მწყდება
ყველაფერს ვეფერები

ქართველ ერს

ყელი მინდა
სასიმღეროდ
მოვიღერო,
(ვაი თუ კი
მემღერება
ცხრა აპრილი –
ცხრა აპრილი,
თვალდათხრილი,
აფთარივით
მეძგერება.)
სულში მინდა
სიმღერებით
მოგეფუერო,
ჩემი ყველა
კარგი ლექსი
შენ გიმღერო,
საოცარო –
საფიცარო
ჩემო ერო!
ღმერთმა ნუ ჰქნას
საქართველო
უქართველო.
ღმერთო! ხელი
მოუმართე –
ყალყზე შემდგარ
საქართველოს!

ზაფხულის წვიმის შემდეგ...

ჩემს უმცროს ქალიშვილს მაკას!

გაწვიმდა...
გამოიღარა,
მზე გამოვიდა
ბრიალა,
მილიონობით
საყურე –
ფოთლებმა
დაიკიალა.
საყურეები
მეგონა
წვიმის წვეთები
კრიალა,
ტოროლა მაღლა
გაფრინდა
მაკაო!
დაიწკრიალა.
ცამ ცისარტყელა
მოშვლდა
შენსავით ნაზი,
ცქრიალა

მაღალი, გამხდარი,
ბეჭებში მოხრილი
წვერ-გაუპარსავი...
უმნოდ აწოწილი
ულვთოდ დაკონკილი
აცვია: შარვალი,
ხალათი, პერანგი
დაბრდღენილი
საცვალი...
და მაინც...
თვალებში უელავს,
უკრთის
სიკეთის მარცვალი
მშიერი, მწყურვალი
სიცივით დამზრალი
ხანდახან თბილისის
ქუჩებში ვიღოდა
საწყალი მხატვარი
ხშირად ნასვამი
პირგაუპარსავი
სამსალა ნასვამი...
ვაი, საქართველო
დავკარგეთ თამარის
საფლავი,
მოვკალით ილია,
ვანო მაჩაბელი
ქართულ მიწაში
ვერც კი დაფვალით...
შიმშილით მოვკალით
დიდი მხატვარი
ნიკო ფიროსმანი, საწყალი

ზღვა იყო თბილი,
ქალივით თბილი –
ზღვა იყო რბილი
ქალის მკერდით,
რბილი, საამო
რამ დამავიწყოს
ბათუმი წყნარი –
ზღვისპირა პარკის
ლამაზი ქარი
და სიზმარით
წყნარი საღამო.

პოეტის ნატვრა

ორიოდე
ლექსი დამრჩეს
ხალხის გულის
მაღამოდა.

კობიტები

კუძღენი მამაჩემის ივანე გაბრიელის ძე
ჭვიშვილის ნათელ ხსოვნას.

ფოთლებდაცვენთ კობიტის ხეებს
ირმის რქებოვით ადგას რტოები,
თითებზე ითვლი დარჩენილ დღეებს
ეზოში დგახარ განმარტოებით.
დავსებულ სკიდან თითო ოროლა
ფუტკრების ისმის სუსტი ბზუილი,
შენ ვერ იტანდი და გულსა გტკენდა
ხარის ნაკლავზე ხარის ზმუილი.
არაკაცებმა არ გაპატიეს
ოცდაოთხ წელში სიტყვით გამოსვლა
დაგიჭირეს და დაგაპატიმრეს
და ჩაგიტარეს მკაცრი გამოცდა.
საპატიები თუმცა რა გქონდა
შენ საქართველო გიყვარდა ძლიერ.
კაცურ კაცობით, ალალ-მართლობით
ხელს უმართავდი ობოლს და მწშიერს.
შინ გამოზრდილი ხარები გყავდა
ჩამოგართვეს და ყელი გამოჭრეს
ხორცი – გაყიდეს, ფული – ჩამორჩნენ
(მიწა გქონდა და არ გქონდა
სიმართლემ პური ჭამა და
ოჯახიანად ამოწყდა.)
შენ არნახული ტანჯვით დაგტანჯეს
არ დაეკიდა ცრემლი წამწამებს.
ეხ! მამაჩემო, მე შენი ხვედრი
უთქმელ ლექსივით ძილში მაწვალებს.
ფოთლებდაცვენთ კობიტის ხეებს
ირმის რქებოვით ადგას ტოტები
თითებზე ითვლი დარჩენილ დღეებს
ეზოში დგახარ განმარტოებით.



მხი საბი, ლექსი გამჩეს,
ხაღობის კულს მალამოგა.
ლ.ჯეიშვილი.

ISBN 978-9941-8-7515-1



9 789941 875151